გაკვეთილის ჩატარების თარიღი: 2019 წლის 4 მარტი

გარე დაკვირვების გაკვეთილის რეფლექსია

პედაგოგი – შორენა ხორბალაძე

საგანი – ქართული ენა და ლიტერატურა

თემა – სულხან–საბა ორბელიანის **„ღარიბი და ქილა ერბო“**

კლასი – II

გაკვეთილი ჩავატარე წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით.გაკვეთილის მიზანი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული:

- შეძლებენ ტექსტის გაგება–გააზრებას;
- გაეცნობიან ახალ ლექსიკურ ერთეულებს;
- შეძლებენ პერსონაჟის ძირითადი თვისებების გამოკვეთას, მათ დახასიათებას;
- გაიაზრებენ ამ იგავის მიხედვით ადამიანის როგორი საქციელია მათთვის მიუღებელი.

გაკვეთილი ასევე ითვალისწინებდა სსსმ მოსწავლისათვის მისაღწევ მოდიფიცირებულ მიზნებს, რომელიც მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინებით იყო შედგენილი.

მოდიფიცირებული მიზანი:

ქართ.დაწყ.(I).2.

ილუსტრაციებს უკავშირებს მოსმენილ ტექსტს და განალაგებს მათ მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით;

ქართ. დაწყ.(I).6.

- სიტყვებში გამოყოფს და წარმოთქვამს მარცვლებს, მარცვლებში – ბგერებს;
- ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს;

ქართ.დაწყ.(I).15.

- იყენებს მოდელს, მითითებებს/საყრდენებს (ტექსტების შედგენისა და სათანადოდ გაფორმების მიზნით);

უნდა აღინიშნოს,რომ სსსმ მოსწავლე ყველა სავარჯიშოს შესასრულებლად საჭიროებს ასისტირებას და შესაბამისად, როგორც ყოველთვის ამ გაკვეთილზეც სპეციალური მასწავლებელი უწევდა დახმარებას.

გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე ვეცადე აქტივობები შემერჩია ისე,რომ მიმეღწია თითოეული მიზნისათვის, ასევე სსსმ მოსწავლისათვის მქონდა შერჩეული აქტივობები, მისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით და ემსახურებოდა დასახული მიზნის მიღწევას.

გაკვეთილი დავიწყე თემის, გაკვეთილის მიზნისა და შეფასების რუბრიკის გაცნობით. გავახსენე მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე შესწავლილი იგავი „ბუზი და ეტლი“,შევამოწმე წერითი დავალება,

ერთმა მოსწავლემ გაგვიზიარა წერითი დავალება, დანარჩენები ცერი თითის ნიშნებით დაეთანხმნენ დავალების სისწორეს და შემდეგ ინდივიდუალურად შევამოწმე დავალება,შეფასების მიზნით გამოვიყენე ზეპირი კომენტარები. იგავის „ბუზი და ეტლი“გახსენებისას ვთხოვე მოსწავლეებს თავადვე მოეფიქრებინათ შინაარსობრივი ხასიათის კითხვები და დრო ერთი წუთი დავუნიშნე,ამ დროს სსსმ მოსწავლეს გამოვკითხე საშინაო დავალება. მოსწავლემ წაიკითხა გამარტივებული ტექსტიდან „ბუზი და ეტლი“ რამდენიმე სიტყვა და ერთი წინადადება, ეს აქტივობა არ მქონდა გეგმაში ნაჩვენები და გაკვეთილის მსვლელობისას ჩავთვალე საჭიროდ სახლში განმტკიცებული მასალაც გამომეკითხა. ამით გავზარდე მოსწავლის ჩართულობა, ის შფოთავდა და ვეცადე ჩამერთო ამ აქტივობაშიც,რადგან შესაძლოა მისი მდგომარეობა გართულებულიყო და გაკვეთილიც დაეტოვებინა, თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა და შესაბამისად გააგრძელა მუშაობა, მოიწონა სავარჯიშო,რომელიც გამოწვევის ფაზაზე ლაბირინთის გამოყენებით მივაწოდე,დაინტერესდა და გზა აჩვენა გაფერადებით გლეხიდან ქილამდე.

შემდეგი აქტივობა ეხებოდა ახალი ტექსტის კითხვას „ღარიბი და ქილა ერბო“. მოსწავლეებს წავუკითხე დამხმარე ელექტრონული წიგნით,რომელიც PowerPoint-ში მოვამზადე მოძრავი ანიმაციებით. მოსწავლეები ინტერესითა და ყურადღებით ისმენდნენ და აკვირდებოდნენ იგავის ეპიზოდებს, რომლებიც ანიმაციური სურათებით თითქოს ცოცხლდებოდა. აღნიშნულმა რესურსმა ხელი შეუწყო იგავის შინაარსის გაგება/გააზრებას. რაც წარმოჩინდა სავარჯიშო რვეულებში,გლეხის ფიქრების თანამიმდევრობის აღდგენის სავარჯიშოს შესრულებისას. ყველა მოსწავლემ სწორი თანმიმდევრობით დაალაგა დაუსრულებელი წინადადებები, აღნიშნული აქტივობა დროის მართვით განხორციელდა, დროის გაკონტროლება საათის სურათის გამოყენებით განვახორციელე,რომელსაც ისრები ვუცვალე ფერების მიხედვით, მწვანე ისარი მუშაობის დაწყების მანიშნებელი იყო, ყვითელი ისარი მიუთითებდა, სამუშაო დასასრულისაკენ წაეყვანათ და წითელი ისარი კი მუშაობის დასრულებას აუწყებდა ბავშვებს. უნდა აღვნიშნო,რომ აღნიშნული რესურსის გამოყენება გეგმით არ ჩანდა, იდეა ამ სახით აკონტროლონ დრო მოსწავლეებმა პირველსა და მეორე კლასში მომაწოდა იმ ფაქტმა,რომ მოსწავლებმა ამ ასაკში არ იციან საათის ცნობა და ამიტომ აქტივობისთვის გამოყოფილი დროის მართვა უძნელდებათ, ამ სახით კი ეს რესურსი საკმაოდ სახალისოც და ეფექტურიც აღმოჩნდა. უნდა აღვნიშნო,რომ აღნიშნული დავალების სისწორის შემოწმება გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო მოსწავლეების მიერ ტექსტის წაკითხვით, რომელიც აღარ განხორციელდა, რადგან დიდ დროს წაიღებდა აღნიშნული აქტივობა და გაკვეთილის შეფასებისათვის დრო აღარ იქნებოდა საკმარისი, აქ მოხდა ამ აქტივობის მოდიფიცირება და მოსწავლეებმა საკუთარი ნამუშევარი თვალსაჩინოდ შესრულებულ მასალას შეადარეს, რომელიც წინასწარ გამზადებული მქონდა საჭიროებისთვის.

მოსწავლეებმა საგაკვეთილო პროცესი შეაფასეს ჩემ მიერ დასმული კითხვების საშუალებით,რომელიც წარვმართე რესურსით „შეჯამების მატარებელი“, რაც მოსწავლეების გახალისებასა და გააქტიურებას უწყობს ხელს.აღნიშნული რესურსიც არ ჩანდა გეგმაში.

გლეხის ფიქრების თანამიმდევრობა სსსმ მოსწავლისათვის კვლავ ილუსტრირებული ფორმით მივაწოდე, მოსწავლემ იმუშავა და სამუშაოს დასრულებაც მანიშნა ხელის აწევით. მისთვის ასევე მქონდა იგავის „ ღარიბი და ქილა ერბო“ გამარტივებული ტექსტი, რომლის დამუშავებაში აქტიურ დახმარებას უწევდა სპეციალური მასწავლებელი. კითხვის შემოწმება კი ბარათებზე დაწერილი სიტყვებით განვახორციელე იმ დროს, როდესაც დანარჩენი მოსწავლეები მუშაობდნენ „დაფიქრდი, დაწყვილდი, გამიზიარე“ მეთოდით. მოსწავლე ბარათებიდან კითხულობდა ჩემ მიერ მითითებულ

სიტყვებს. წაიკითხა იგავში გამოყენებული რამდენიმე სიტყვა, ყოველი სიტყვის ამიკითხვისას იღებდა სიტყვიერ შექებას, რაც თავის მხრივ მომდევნო სიტყვის ამოკითხვის სურვილს აღუძრავდა.

ჩემი აზრით, გაკვეთილის მიზანს მივაღწიე. მოსწავლეებმა შეძლეს იგავის შინაარსის გაგება/ გააზრება, გამოკვეთეს პერსონაჟის თვისება და იმსჯელეს მათთვის მისაღებ ქცევაზე. განსაკუთრებით მისაღები და მოსაწონი იყო მოსწავლეების მოსაზრებები მსჯელობისას, როდესაც ვთხოვე იგავისთვის შეერჩიათ კიდევ რომელი სათაური შეეფერებოდა და შესაძლო ვარიანტები თვალსაჩინოდ დაფაზე დავუწერე „ა) ფუჭი ოცნება; ბ) გლეხის შეცდომა.“ აზრთა ჭიდილისა და მსჯელობის შედეგად მივიღნენ არგუმენტირებულ დასკვნამდე რომ ორივე შეეფერებოდა.

მათ ჩემ მიერ მიცემულ ყველა დავალებას წარმატებით გაართვეს თავი.მოსწავლეთა უმეტესობა აქტიურად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში. წყვილებში მუშაობისას საკმაოდ მეგობრული გარემო შექმნეს, უზიარებდნენ საკუთარ არჩევანს ან აძლევდნენ შესაბამის მითითებებს ერთმანეთს. უნდა აღინიშნოს,რომ ორგანიზებულად და გარკვეული წესების დაცვით წარიმართა სასწავლო პროცესი, ნაკლებად მომიწია საგაკვეთილო წესების შეხსენება.

სამუშაო პროცესი დროში გაწერილი მქონდა და ვცდილობდი მის დაცვას, თუმცა არასაკმარისი აღმოჩნდა დრო, ვფიქრობ 2/3 წთ არამიზნობრივად გამეხარჯა. ასე,რომ უფრო მეტად მჭირდება ამ მხრივ მუშაობა და აუცილებლად დავძებნი საჭირო გზებსა თუ ქმედებებს,რაც ერთგვარად დამეხმარება დროის ეფექტურად მართვაში.

საგაკვეთილო პროცესის გაანალიზება დამეხმარა კიდევ უფრო გამეაზრებინა, თუ რამდენად ეფექტური იყო ჩემ მიერ შერჩეული აქტივობები მიზნის მისაღწევად. ჩემი აზრით, გაკვეთილზე გამოყენებული სხვადასხვა აქტივობები დაეხმარა მოსწავლეებს მიზნის მიღწევაში, თუმცა, რა თქმა უნდა, იყო გარკვეული ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრასაც შევძლებთ მომდევნო გაკვეთილებზე საკითხების გამეორებით და შესაბამისი სავარჯიშოების შერჩევით. რაც შეეხება სსსმ მოსწავლის წერით დავალებას, გადაეწერა ნიმუშის დახმარებით წინადადება საწერ ბადეში, აღარ განხორციელდა ,მოსწავლე დაიღალა და აღარ ისურვა მისი დაწერა. ეს ფაქტი ნამდვილად არ იყო მოულოდნელი და არც უჩვეულო. მოსწავლემ გაკვეთილზე იმუშავა მაქსიმალური შესაძლებლობით.

ხარვეზი გამოიკვეთა ასევე „გამოსაძახებელი ჩხირების“ გამოყენებისას. უნებურად ჯერ მოსწავლე დავასახელე და შემდეგ დავსვი კითხვა. ამ ქცევით სხვა მოსწავლეებს კონკრეტულ კითხვაზე დაფიქრების საშუალება აღარ მივეცი, რადგან მოლოდინი აღარ ჰქონდათ,რომ პასუხის გაცემის შესაძლებლობა მიეცემოდათ. იგივე მეთოდით მუშაობისას დავაფიქსირე ასევე შემთხვევა,როდესაც მოსწავლეს გვარით მივმართე, ეს შემთხვევა ყოველდღიურ გაკვეთილებზე არ მქონია, მიუხედავად იმისა,რომ ერთი და იგივე სახელის მოსწავლეები სწავლობენ კლასში. ამის მიზეზად ვთვლი იმ ფაქტს, რომ გამოსაძახებელი ჩხირების გამოყენება არც თუ დიდი ხანია დავიწყე და თავის მხრივ, შეჩვევასა და გაწაფვას საჭიროებს.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს გავაცანი საშინაო დავალება და არ გავაკეთე სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი საშინაო დავალების ფორმულირება, არ მიწევს ამის გაკეთება გაკვეთილზე ,რადგან ყოველდღიურად მოსწავლეს ჩემ მიერ მომზადებულ თვალსაჩინო მასალით გამდიდრებულ, გამარტივებულ ტექსტებს ვაწვდი,რომელსაც ერთვის წერითი სავარჯიშოებიც, მშობელი ინფორმირებულია,იცნობს მუშაობის პრინციპს და საჭირო და დროულ დახმარებასაც უწევს ბავშვს.

საბოლოოდ ჩატარებული გაკვეთილი დამეხმარება პროფესიულ ზრდაში და მომავალში ჩემი აზრით, შევძლებ უფრო სრულყოფილი გაკვეთილის ჩატარებას, ასევე საკუთარი ქმედებების ორგანიზებას,რათა უკეთ უზრუნველვყო სსსმ მოსწავლის ინტეგრაცია, იმის მიუხედავად, თუ რა შემეცნებითი, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მახასიათებლები გააჩნია.

შორენა ხორბალაძე

06.03.2019წელი